ყვარლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №35
2018 წლის 30 აპრილი

ქ. ყვარელი

„I კლასის შენობა-ნაგებობათა განთავსება/მშენებლობის შესახებ“ ყვარლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2011 წლის 13 ოქტომბრის №18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ყვარლის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1

შეტანილ იქნეს ცვლილება „I კლასის შენობა-ნაგებობათა განთავსება/მშენებლობის შესახებ“ ყვარლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2011 წლის 13 ოქტომბრის №18 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 13/10/2011, 330130000.35.164.016045), კერძოდ:

1. დადგენილების პირველი მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. თუ შენობა-ნაგებობათა განთავსება/მშენებლობა ან დემონტაჟი ხორციელდება ამ დადგენილების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ტერიტორიის ფარგლებს გარეთ, დამატებითი დოკუმენტაციის სახით სავალდებულოა (გარდა გადაუდებლობის შემთხვევაში შენობა-ნაგებობის დროებითი გამაგრებისა) მერიაში წარმოდგენილ იქნეს:“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ყვარლის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარის
მოვალეობის შემსრულებელი **ვანო მამულაშვილი**